ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №377-2014

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 26 ნოემბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ადმინისტაციის ხელმძღვანელის პროფესორ ქ. ქოქრაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77
საბანკო რეკვიზიტები: „თი ბი სი" ბანკი; ბანკის კოდი: 220101830;
ანგ. №GE47TB0600000003408001; ს.კ. 211349192

მიმწოდებელი: შპს „ასტრა პარკი"
დირექტორი: ო. სიმონიშვილი
მისამართი,ტელეფონი: თბილისი, ჩაჩავას ქ. 8 ტელ 2518127
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22 ა.ა.GE98BG0000000177517000
ს.კ. 202339497

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:
სტუდენტური ჩემპიონატის ორგანიზება კარტინგში (CPV 92622000 - სპორტული ღონისძიებების ორგანიზება), საერთო ღირებულებით 5400 ლარი.

1.2. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა. (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, 3 პუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად)

2. ხელშეკრულების ფასი, ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 5400.00 (ხუთი ათას ოთხასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს 2014 წლის 2,3,4,5,8,9 დეკემბერს;
3.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მომსახურების მიწოდების მომენტში. განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი) ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან გ.კულდონაშვილს – (სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი) შორის.
3.3. მომსახურების მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;
5.2. მიწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების პირობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე.

7. ფორსმაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნა ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავის გადაწყვეტა

8.1. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 იანვრამდე.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,	შპს „ასტრა პარკი“-ს დირექტორი
პროფესორი ქ. ქოქრაშვილი	ო. სიმონიშვილი
_____	_____